დანართი №1

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება

შპს თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ლიცეუმი მწიგნობართუხუცესი

შეფასების თარიღები ---------- 30 და 31 მარტი

დასკვნის წარდგენის თარიღი ---------- 18 აპრილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
დაწესებულების სახელწოდება	შპს თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ლიცეუმი მწიგნობართუხუცესი
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
საგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	211360141

ავტორიზაციის მოპოვების შემთხვევაში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის სურვილია განახორციელოს:	
დაწყებითი ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	დიახ
საბაზო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	დიახ
საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	დიახ
საბაზო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა	არა
საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა	არა

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ქ. თბილისი
იურიდიული მისამართი	ქ. თბილისი, ლეო კვაჭაძის ქუჩა N12
ფაქტობრივი მისამართი	ქ. თბილისი, ლეო კვაჭაძის ქუჩა N12 ქ. თბილისი, ნუცუბიძის II მკ.რ. ჟღენტის ქუჩა N2

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

საფოსტო ინდექსი	0177
დაწესებულების ვებ-გვერდი	https://muschool.edu.ge/
დაწესებულების ელ-ფოსტა	g.chkondideli@yahoo.com
დაწესებულების ტელეფონის ნომერი/ფაქსი	(+995 32) 2 135 135
ხელმძღვანელი/წარმომადგენელი (სახელი, გვარი)	დავით კახნიაშვილი
ტელეფონის ნომერი/ფაქსი	(+995) 599 41 55 00
ელ-ფოსტა	davidkakhniashvili@gmail.com

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

საავტორიზაციო ვიზიტის საფუძველი	საჯარო სამართლის იურიდიული პირი - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის, თამარ მახარაშვილის ბრძანება **N248297** 11.03.2022წ. - ,,ზოგადსაგანმანათლებლო ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და შპს თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ლიცეუმი მწიგნობართუხუცესში ვიზიტის შესახებ“
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	30 და 31 მარტი, 2022 წ.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე (სახელი, გვარი)	ნოდარ ანგურიძე
წევრი (სახელი, გვარი)	სერგო დურგლიშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

IV. ვიზიტის შეჯამება

ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

სტანდარტი/ქვესტანდარტი		ავტორიზაციის დებულების შესაბამისი მუხლი / პუნქტი	სტანდარტი დაკმაყოფილებულია	სტანდარტი არაა დაკმაყოფილებული
1.ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები		**მუხლი 6**	☒	☐
1.1	სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას	**მუხლი 6/ პუნქტი ა)**	☒	☐
1.2	სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები	**მუხლი 6/ პუნქტი ბ)**	☒	☐
1.3	სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობებით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	**მუხლი 6/ პუნქტი გ)**	☒	☐
1.4	სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისთვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად	**მუხლი 6 / პუნქტი დ)**	☒	☐
1.5	შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილების შესაძლებლობით	**მუხლი 6 / პუნქტი ე)**	☒	☐
1.6	შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი	**მუხლი 6 / პუნქტი ვ)**	☒	☐
2. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი		**მუხლი 7**	☐	☒
2.1	დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის:	**მუხლი 7 / პუნქტი ა)**	☒	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

2.1.1	ერთ მისამართზე 250. კვ. მ. ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო იღებს გადაწყვეტილებას 50 მოსწავლეზე ნაკლებგონტინგენტიანი სკოლის ავტორიზაციის შესახებ. ფართზე უფლება უნდა დასტურდებოდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით	**მუხლი 7/ პუნქტი ა.ა)**	☒	☐
2.1.2	საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით	**მუხლი 7/ პუნქტი ა.ბ)**	☒	☐
2.1.3	სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი	**მუხლი 7 / პუნქტი ა.გ.)**	☒	☐
2.1.4	სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები	**მუხლი 7 / პუნქტი ა.დ)**	☒	☐
2.2.	სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები	**მუხლი 7 / პუნქტი ბ)**	☒	☐
2.3	სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით	**მუხლი 7 / პუნქტი გ)**	☒	☐
2.4	სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	**მუხლი 7 / პუნქტი დ)**	☒	☐
2.5	სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას	**მუხლი 7 / პუნქტი ე)**	☒	☐
2.6	სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:	**მუხლი 7 / პუნქტი ვ)**	☒	☐
2.6.1	ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. ა)**	☒	☐
2.6.2	თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. ბ)**	☒	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

2.6.3	სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები	**მუხლი 7 / პუნქტი 3. გ)**	☒	☐
2.6.4	წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად	**მუხლი 7 / პუნქტი 3. დ)**	☒	☐
2.6.5	კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს	**მუხლი 7 / პუნქტი 3. ე)**	☐	☒
2.7	სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები	**მუხლი 7/ პუნქტი ზ)**	☒	☐
2.8	შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს	**მუხლი 7/ პუნქტი თ)**	☒	☐
2.9	დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციების აღრიცხვა	**მუხლი 7/ პუნქტი ი)**	☒	☐
3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი		**მუხლი 8**	☒	☐
3.1	სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი	**მუხლი 8 / პუნქტი ა)**	☒	☐
3.2	სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად	**მუხლი 8 / პუნქტი ბ)**	☒	☐
3.3	სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები,	**მუხლი 8 / პუნქტი გ)**	☒	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა			
3.4	მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები	მუხლი 8/ პუნქტი დ)	☒	☐
3.5	სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები	მუხლი 8/ პუნქტი ე)	☒	☐
3.6	სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას	მუხლი 8/ პუნქტი ვ)	☒	☐

V. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი (სტანდარტთან შეუსაბამობა), რომელიც გამოვლინდა ვიზიტის პერიოდში ქვესტანდარტის მითითებით.

სტანდარტი	*საგანმანათლებლო პროგრამები*	*ხარვეზი*
ქვესტანდარტი	*1.1.*	.....
	1.2.	.....
სტანდარტი	*მატერიალური რესურსი*	
ქვესტანდარტი	*2.6.*	*სკოლა ვერ უზრუნველყოფს სკოლის მეორე კორპუსში შიდა და გარე პერიმეტრის ვიდეოკონტროლს სრულად.*
სტანდარტი	*ადამიანური რესურსი*	
ქვესტანდარტი	*3.1.*	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

VI. რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა რეკომენდაცია, რომლებიც მიეცა დაწესებულებას სტანდარტებთან უკეთ შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, ქვესტანდარტის მითითებით.

სტანდარტი	*საგანმანათლებლო პროგრამები*	*რეკომენდაცია*
ქვესტანდარტი	*1.1.*	
	1.2.	.....
სტანდარტი	*მატერიალური რესურსი*	
ქვესტანდარტი	*2.6.*	*სკოლამ უნდა უზრუნველყოს სკოლის მეორე კორპუსში შიდა და გარე პერიმეტრის ვიდეოკონტროლი სრულად.*
სტანდარტი	*ადამიანური რესურსი*	
ქვესტანდარტი	*3.1.*	

VII. დაწესებულების საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

საუკეთესო პრაქტიკის მაგალითი	სკოლას საკუთარ საუკეთესო პრაქტიკად მიაჩნია ის გარემოება, რომ სრულიად უფასოდ, მომსახურეობას უწევს 27 სოციალურად დაუცველ მოსწავლეს და ასევე 38 მოსწავლეს, რომელსაც მხოლოდ სახელმწიფოს მიერ, კერძო სკოლებისთვის განსაზღვრული ვაუჩერული დაფინანსების ფარგლებში ემსახურება და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ფაქტიურად ასეთი მოსწავლე, რომელიც თვითონ არ იხდის, სრულიად უფასოდ სწავლობს სკოლაში. ამასთან ერთად, სკოლა საუკეთესო პრაქტიკად თვლის, მთელ მის მოღვაწეობას, რადგან 28 წლის წინ 7 მოსწავლით დაწყებული სკოლა, დღეს 1239 მოსწავლეს ასწავლის.

დაწესებულების მისია	სკოლის მისიაა უზრუნველყოს სწავლა-სწავლებისა და განვითარებისათვის ოპტიმალური გარემოს ფორმირება, რომელიც ხელს შეუწყობს მოზარდების ინტელექტუალური და შემოქმედებითი შესაძლებლობების განვითარებას, სიცოცხლისა და პროფესიული თვითრეალიზებისათვის აუცილებელი იმ საკვანძო კომპეტენციების ჩამოყალიბებას, რომლებიც ხელს შეუწყობს მათ დამკვიდრებას თანამედროვე მრავალკულტურულ და მაღალტექნოლოგიურ სივრცეში. მისიით განცხადებული გარემოს ფორმირებისთვის სკოლა უზრუნველყოფს პედაგოგების უწყვეტ პროფესიულ განვითარებას, რათა ეფექტიანად შეძლონ სასწავლო პროცესში დიფერენცირებული მიდგომის დანერგვა და მოზარდების მრავალმხრივ განვითარებაზე ორიენტირებული სასწავლო სივრცის ჩამოყალიბება, სადაც მოსწავლე შეიძენს ფუნდამენტურ ქმედით ცოდნას და მომავალში შეძლებს მის ეფექტიან გამოყენებას პიროვნული და პროფესიული ზრდისთვის

VIII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

წინა ვიზიტის პერიოდში გაცემული რეკომენდაციების აღწერა	წინა ვიზიტის დროს რეკომენდაციები გაცემული არ ყოფილა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

IX. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 1886	ექსპერტი ეთანხმება ☒	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტი არ ეთანხმება ☐	

X. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები:

10

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

1. საგანმანათლებლო პროგრამები

1.1 სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლა-ლიცეუმი მწიგნობართუხუცესის სასკოლო-სასწავლო გეგმა შედგენილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 18 მაისის N40/ნ და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 11 მარტის N36/ნ ბრძანებებით დამტკიცებული ,,ეროვნული სასწავლო გეგმების,"იზოლაციისა და კარანტინის წესების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის 322-ე დადგენილების, საქართველოს ზოგადასაგანმანათლებლო დაწესებულებებში სასწავლო პროცესის დისტანციურად წარმართვისა და მიღებული შედეგების შეფასების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ" 2020 წლის9 სექტემბრის N95/ნ ბრძანების საფუძველზე. სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილებია: 1. სკოლის მისია; 2. ძირითადი ინფორმაცია; I. სწავლა-სწავლების მიზნები და ძირითადი პრინციპები; II. ძირითადი მეთოდიკური ორიენტირები; III. სკოლის საერთო კულტურა; IV. საგანმანათლებლო პროცესის ორგანიზება; 3. კალენდარი; 4. სასკოლო საათობრივი ბადე 5. საგნობრივი კათედრები; 6. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სისტემა; 7. აღმზრდელობითი კონცეფცია; 8. გახანგრძლივებული სწავლების ჯგუფის მუშაობის კონცეფცია; 9. მოსამზადებელი ჯგუფის მუშაობის კონცეფცია; V. სადამრიგებლო პროგრამა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	VI.საგანმანათლებლო რესურსები; VII. სასკოლო შეფასების სისტემა; VIII. ინკლუზიური განათლება; IX.სავალდებულო არჩევითი საგნები; X.ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული / გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურეობა. **სკოლის მისია:** შპს ,,სკოლა-ლიცეუმი მწიგნობართუხუცესის“ სკოლის მისია შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ და დამტკიცებულია სკოლა ლიცეუმის პედსაბჭოს 2021 წლის 8 სექტემბრის N1 ოქმით. **ძირითადი ინფორმაცია:** სასკოლო სასწავლო გეგმა აზუსტებს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სავალდებულო საგნების წლიური ჯამური საათების რაოდენობას, განსაზღვრავს თითოეული კლასისთვის ყოველდღიური გაკვეთილების განრიგს, ესგ-თი გათვალისწინებულ/გაუთვალისწინებელ დამატებით მომსახურეობას, მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების პრინციპებს და სკოლაში მიმდინარე საგანმანათლებლო პროცესებთან დაკავშირებულ სხვა მიმართულებებსა და აქტივობებს. დაწყებით საფეხურზე კლასში მოსაწავლეთა რაოდენობა განსაზღვრული 20 (±2 მოსწავლე) და საბაზო და საშუალო საფეხურზე 10 (±2/3 მოსწავლე) მოსწავლით. **კალენდარი** სასწავლო წლის კალენდარის მიხედვით, 2021-2022 სასწავლო წლის დაწყების თარიღია - 2021 წლის 15 სექტემბერი. სასწავლო წელი I – XI კლასებისთვის მთავრდება 15 ივნისს, XII კლასისთვის 20 მაისს. პირველი სემესტრი მთავრდება 29 დეკემბერს, მეორე სემესტრი იწყება 15 იანვარს. სკოლაში სასწავლო კვირა ხუთდღიანია. თუმცა, განსაზღვრულია გამონაკლისი შემთხვევები, როდესაც შესაძლებელია სკოლამ 6 დღიანი კვირეული დატვირთვით წარმართოს სასწავლო პროცესი. სკოლა-ლიცეუმი მწიგნობართუხუცესში მოსწავლეთა ინტერესების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	გათვალისწინებით და ცოდნის დონეების მიხედვით, შექმნილია კლასის განაყოფები. დღის რეჟიმის მიხედვით, სწავლა იწყება 9:30 საათზე, II - XII კლასებში გაკვეთილის ხანგრძლივობაა 45 წუთი, I კლასისთვის - 35 წუთი (+10 წუთი თავისუფალი დრო). პირველი და მეხუთე შესვენება 5 წუთიანია, დანარჩენი 10 წუთიანი. I-VI კლასის მოსწავლეებისთვის საუზმე სადილი და სამხარი განაწილებულია განსხვავებულ დასვენებებზე, რათა არ მოხდეს დიდი რაოდენობით მოსწავლეთა თავმოყრა. **სასკოლო სასწავლო საგნების ორგანიზება:** შპს „სკოლა-ლიცეუმი მწიგნობართუხუცესის“ ყოველი საფეხურის თითოეულ კლასში ისწავლება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ყველა სავალდებულო საგანი, აგრეთვე, არჩევითი საგნები, რომლების სკოლის მისიიდან გამომდინარე ისწავლება შემდეგი სქემით: X კლასი - ქიმიური ტექნოლოგიები (2 მოდულიანი, თითოეული ერთ სემესტრიანი) და XIX-XX საუკუნეების დასავლური ლიტერატურა (1 მოდულიანი, ორ სემესტრიანი); XI კლასი - მსოფლიო კულტურა (1 მოდულიანი, ორ სემესტრიანი) და XIX-XX საუკუნეების დასავლური ლიტერატურა (1 მოდულიანი, ორ სემესტრიანი); XII კლასი - XIX-XX საუკუნეების დასავლური ლიტერატურა(1 მოდულიანი, ორ სემესტრიანი). ამასთან I კლასში მათემატიკას დამატებული აქვს 2 სთ. ხოლო მათემატიკის გაძლიერებული სწავლების კლასებში (VII-XII კლ) დამატებული 2-3 საათი, მათემატიკურ კლასებში ფიზიკას დამატებული აქვს 1-2 სთ. რუსული ენის სწავლება სავალდებულოა II კლასიდან და დამატებულია 1-3 სთ. გარდა ამისა, დამატებითი სავალდებულო მომსახურეობის სახით დაწყებით საფეხურზე ისწავლება მათემატიკური ლოგიკა IV კლასი, ასევე ზეპირმეტყველების კურსი, „ვისაუბროთ ინგლისურად“-V-VI კლასები. საბაზო საფეხურზე ისწავლება გარემოს მონიტორინგის საფუძვლები, ბუნებისმეტყველების ინტეგრირებული კურსი და გუნდი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სკოლაში მოქმედებს ფიზიკა მათემატიკური მიმართულების კლასები VII-XII კლასები, რომელთა საათობრივ ბადეში გაზრდილია მათემატიკისა და ფიზიკის საათები, ძირითადად ხელოვნების მუსიკის, არჩევითი საგნების (საშუალო საფეხურზე) და დამატებითი საგანმანატლებლო მომსახურების (საბაზო საფეხურზე) ხარჯზე. საათობრივი ბადის განტვირთვის მიზნით გარკვეული საგნები ისწავლება შაბათს. სკოლის საათობრივი ბადე შეთანხმებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან (წერილი MES 2 21 0000815956, 24.08.2021წ.). გარდა ზემოთაღნიშნულისა, სკოლას, სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებული აქვს დამატებითი ფაკულტატური წრეების მრავალფეროვანი არჩევანი, თუმცა სკოლა განმარტავს, რომ ეპიდემიური ვითარების გამო წრეებისა და სპორტული სექციების მუშაობა განახლდება, როგორც კი, ამის საშუალებას მოგვცემს კოვიდპანდემიური გაუმჯობესება. **სასწავლო რესურსები და სახელმძღვანელოები:** სასკოლო-სასწავლო გეგმის დანართ N9-ში წარმოდგენილია შპს „სკოლა-ლიცეუმი მწიგნობართუხუცესის“ მიერ არჩეული გრიფმინიჭებული და დამხმარე, აგრეთვე, დამატებითი სასწავლო სახელმძღვანელოები კლასებისა და საგნების მიხედვით. **საგნობრივი კათედრები სკოლაში:** სკოლაში ფუნქციონირებს 12 კათედრა. კერძოდ: 1. ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრა; 2. მათემატიკისა და ისტ-ის კათედრა; 3. ქიმიის კათედრა; 4. ბიოლოგიის კათედრა; 5. ფიზიკის კათედრა; 6. ისტორიის კათედრა; 7. გეოგრაფიის, სამოქალაქო თავდაცვისა და უსაფრთხოების და საგზაო ნიშნებისა და უსაფრთხოების კათედრა; 8. ინგლისური ენის კათედრა; 9. რუსული ენის კათედრა; 10. სპორტის კათედრა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	11. ესთეტიკური აღზრდის კათედრა; 12. დაწყებითი განათლების კათედრა. სასკოლო-სასწავლო გეგმაში გაწერილია საგნობრივი კათედრების ფუნქციები, მათ შორისაა - შემაჯამებელი დავალებების ამსახველი დოკუმენტაციის, მოსწავლეთა აკადემიური მიღწევებისა და გაცდენების ანალიზი, ზრუნვა მასწავლებლების პროფესიული განვითარებისთვის, რეკომენდაციების შემუშავება სწავლა-სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და მიდგომების დანერგვასთან დაკავშირებით და ა.შ. მოცემულია ასევე საქმიანობის განხორციელების მატრიცა, სადაც მოცემულია დაგეგმილი საქმიანობების ნუსხა. სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებულია **აღმზრდელობითი კონცეფცია,** რომლის მიხედვითაც სკოლა-ლიცეუმის აღმზრდელობითი სისტემა ეფუძნება შემდეგ პრინციპებს: • ყურადღების ცენტრშია მოსწავლის შინაგანი ფასეულობები, არარეალიზებული შესაძლებლობები და პოტენციალი; • მოსწავლე აღმზრდელობითი ზემოქმედების სუბიექტია; • მოსწავლესა და მასწავლებელს შორის ჩამოყალიბებულია პარტნიორული ურთიერთობები; • სკოლა არის ფსიქოლოგიური კომფორტის ზონა მოსწავლისა და პედაგოგისთვის. სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს **გახანგრძლივებულ სწავლებას** (I-VI კლასი). პროგრამის განხორციელების ძირითადი მიზანია დეხმაროს მოსწავლეებს საშინაო დავალებების მომზადებაში, რაზეც მშობლები დიდ კმაყოფილებას გამოთქვამდნენ. ამ მომსახურეობის მიმღები მოსწავლეები სარგებლობენ ორჯერადი კვებით. სკოლაში ასევე ფუნქციონირებს და სასკოლო სასწავლო გეგმაში აღწერილია **მოსამზადებელი ჯგუფის შესახებ** სკოლამდელთათვის. ჯგუფის მიზანია ოპტიმალური პირობების ჩამოყალიბება და სასკოლო მზაობის ფორმირება. აღნიშნული ჯგუფი მხოლოდ სკოლის ნუცუბიძის ქუჩის კორპუსში ფუნქციონირებს. დირექტორის განმარტებით ჯგუფში მხოლოდ 9 მოსწავლეა და განკუთვნილია მხოლოდ 5 წლიან აღსაზრდელებისთვის. სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილია **სადამრიგებლო პროგრამა,**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	რომელიც ხელს უწყობს სკოლაში აღმზრდელობითი პროცესის ერთიანი სისტემის შექმნას, საერთო სასკოლო კულტურის ჩამოყალიბებას, სასკოლო ცხოვრებაში მშობელთა ჩართულობის გაზრდას, შეზღუდული შესაძლებლობებისა და უნარების მქონე მოსწავლეების ინტეგრაციას სასწავლო პროცესში. სასკოლო სასწავლო გეგმაში განსაზღვრულია საგანმანათლებლო რესურსები, მათ შორის გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები, დამხმარე ლიტერატურა, საგანმანათლებლო ელექტრონული რესურსები და სხვა, რომელიც დანართის (დანართი N6) სახით ერთვის სასკოლო სასწავლო გეგმას. სასკოლო შეფასების სისტემა ძირითადად თავსებადია ეროვნულ სასწავლო გეგმასთან, თუმცა არის სასკოლო პრინციპებიდან გამომდინარე თავისებურებები, რომელიც მოცემულია ამავე სტანდარტის 2.4 პუნქტში. სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია ინკლუზიური განათლების პრინციპები **დისტანციური სასწავლო პროცესის ორგანიზების გეგმა:** სასკოლო-სასწავლო გეგმაში წარმოდგენილია დისტანციური სწავლების წარმართვის პრინციპები. სკოლა აცხადებს, რომ სკოლაში ქვეყანაში ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის გაუარესების შემთხვევაში სკოლა გადავა დისტანციურ ან შერეულ (ჰიბრიდულ) სწავლების მოდელზე დისტანციური სწავლება ხორციელდება სრულად ელექტრონული სინქრონული და სრულად ელექტრონული ასინქრონული მოდელების გამოყენებით, Zoom-ის ელექტრონული პლატფორმის გამოყენებით. გარდა ამისა მასწავლებლები იყენებენ სხვადასხვა ელექტრონულ საშუალებებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სასკოლო-სასწავლო გეგმა; • საქართველოს განათლებისა და მეცნიერები სამინისტროს შესაბამისი კორესპონდენცია.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.2 სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

აძლევს მათ, შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლა საკუთარ მოვალეობად მიიჩნევს, უზრუნველყოს ოპტიმალური პირობები თითოეული მოსწავლის ნიჭისა და უნარის გამოსავლენად. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისა და სასკოლო საზოგადოებასთან ინტერვიურების შედეგად ირკვევა, რომ საწავლო პროცესი სრულად არის ორიენტირებული მოსწავლეზე, გათვალისწინებულია თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური ფიზიკური და ფსიქიკური მახასიათებლები, შესაძლებლობები და ინტერესები. გარდა ამისა, სწავლა-სწავლების პროცესი მიმდინარეობს პოზიტიურ და მოწესრიგებულ გარემოში, სადაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ურთიერთობებსა და დამოკიდებულებებს. ამასთანავე, განვითარების თანაბარი შესაძლებლობების მიზნით, სკოლა მოსწავლეებს უზრუნველყოფს მრავალფეროვანი სასწავლო რესურსებით და აქტივობებით. სწავლა-სწავლების პროცესში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს კვლევით მუშაობას - ხორციელდება სხვადასხვა ტიპის ცდებისა და ექსპერიმენტების ჩატარება საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართულებით. საბაზო საფეხურზე ისწავლება გარემოს მონიტორინგის საფუძვლები და ბუნებისმეტყველების ინტეგრირებული კურსი, გაძლიერებულია მათემატიკისა და ფიზიკის სწავლება, დაწყებით საფეხურზე ისწავლება ინგლისური ენის ზეპირმეტყველების კურსი, სკოლამ წარმოადგინა შემაჯამებელი დავალებების და მათი ანალიზის ფორმები, სადაც სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე ხორციელდება პრობლემების გამოკვეთა და გადაჭრის გზების ძიება. ყოველივე ეს მოსწავლეს საშუალებას აძლევს შეიძინოს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული, საფეხურის შესაბამისი ცოდნა, უნარები და ღირებულებები. აქვე აღსანიშნავია, რომ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის და განხორციელების პროცესი სკოლაში დაწყებულია, თუმცა არა საერთო სასკოლო ორგანიზებით, არამედ ცალკეული კათედრებისა და მასწავლებლების საკუთარი ინიციატივებით, რაც გულისხმობს, რომ ზოგ მასწავლებელს შემუშავებული აქვს რომელიმე საგნის მხოლოდ კურიკულუმი, ზოგს მხოლოდ თემატური მატრიცა,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	თუმცა კომპლექსური დავალება ვეღარ განახორციელა, ზოგიერთმა მხოლოდ კომპლექსური დავალება განახორციელა, თუმცა არაა წარმოდგენილი, რომელი თემატური მატრიცის შუალედური მიზნების მისაღწევად განახორციელა ეს კომპლექსური დავალება, თუმცა კი, განმავითარებელი შეფასებით შეაფასა მოსწავლეები. სკოლამ განმარტა, რომ მიმდინარე წელი არის გარდამავალი და მომავალ წელს დაიწყებენ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დაგეგმვას, წლევანდელი წელი კი „სასინჯი“ იყო. სკოლას მიეცა რეკომენდაცია, რომ თუნდაც პილოტირების რეჟიმში, სასურველია რომ სკოლამ გაითვალისწინოს კურიკულუმი-----თემატური მატრიცა----კომპლექსური დავალება ლოგიკური ჯაჭვია, და თუნდაც „სინჯვის“ რეჟიმში სასურველია რომ გაითვალისწინოს ეს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სასკოლო-სასწავლო გეგმა; • შემაჯამებელი დავალებები და მათი ანალიზის დოკუმენტაცია; • ურიკულუმების, კომპლექსური დავალებების, თემატური მატრიცების ნიმუშები;
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.3 სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სასკოლო სასწავლო პროცესი, მისიიდან გამომდინარე, ორიენტირებულია დიფერენცირებული მიდგომების დანერგვაზე, რაც ყველა მოსწავლეს აძლევს რეალიზება გაუკეთოს საკუთარ შესაძლებლობებს. VII კლასიდან მოსწავლეების სურვილისა და შესაძლებლობის შემთხვევაში, რაც გულისხმობს შიდა გამოცდის ჩაბარებას, შესაძლებლობა აქვთ გადავიდნენ გაძლიერებული ფიზიკა-მათემატიკურ მიმართულების კლასებში. ასევე მნიშვნელოვანია სკოლის მიერ მოსწავლეთათვის შეთავაზებული ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული და გაუთვალისწინებელი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურეობები. მათგან

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	მშობლები განსაკუთრებული კმაყოფილებით აღნიშნავდნენ გახანგრძლივებული ჯგუფებისა და ცურვის საათების არსებობას. სკოლას ჰყავს ორი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე. სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია ინკლუზიური სწავლების კონცეფცია, სსსმ მოსწავლის სწავლებისათვის სკოლის მიერ განხორციელებული ღონისძიებების ნუსხა. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შექმნის წესი და ვადები, ინფორმაცია ისგ ჯგუფის შესახებ, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფორმირების ეტაპები. გარდა ამისა, სკოლას დამტკიცებული აქვს მოსწავლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმები. ასევე ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაზე მომუშავე ჯგუფი, რომელიც იკრიბება მინიმუმ 4-ჯერ წლის განმავლობაში, ასევე გათვალისწინებულია სსსმ მოსწავლის შინ სწავლების პრინციპები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სასკოლო-სასწავლო გეგმა; • სსსმ მოსწავლეთა ინდგეგმები; • ისგ ჯგუფის ბრძანება; • მონიტორინგის ჯგუფის ბრძანება; • ინტერვიუ სკოლის დირექტორთან.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.4 სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის შეფასების სისტემა ძირითადად შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს (გამონაკლისია ფიზიკა-მათმატიკის გაძლიერებული კლასები): მოსწავლეები ფასდებიან შემდეგი სამი კომპონენტის მიხედვით: მიმდინარე საკლასო დავალება (V კლასის მეორე სემესტრი, VI-XII კლასები), მიმდინარე საშინაო დავალება (VII-XII კლასები), შემაჯამებელი დავალება (V კლასის მეორე სემესტრი, VI-XII კლასები). I-VI კლასებში საშინაო დავალების კომპონენტში გამოიყენება მხოლოდ განმავითარებელი შეფასება. I-IV კლასებსა და V

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	კლასის პირველ სემესტრში საკლასო და შემაჯამებელ დავალებათა კომპონენტებში გამოიყენება მხოლოდ განმავითარებელი შეფასება. V კლასის მეორე სემესტრსა და VI-XII კლასებში საკლასო და შემაჯამებელ დავალებათა კომპონენტებში გამოიყენება როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი შეფასება. რაც შეეხება ზემოთ აღნიშნულ გამონაკლისს, რომელიც შეეხება ფიზიკა მათემატიკის გაძლიერებულ კლასებს, ამ კლასებში კლასის დაძლევის ბარიერი განსხვავდება ეროვნული სასწავლო გეგმისა და სასკოლო სასწავლო გეგმისაგან და ნაცვლად დაძლევის ბარიერისა 5.0, ამ კლასებში კლასის დაძლევის შემდეგი სქემაა: VII კლ. - მათემატიკაში და ფიზიკაში კლასის დაძლევის ბარიერია 5.5 VIII კლ - მათემატიკა 6.0, ფიზიკა 5.5; IX კლ - მათემატიკა 6.5, ფიზიკა 6.5; X და XI კლ მათემატიკა და ფიზიკა 6.0. გარდა ამისა ამ კლასებში დანიშნულია წლიური გამოცდებია მათემატიკასა და ფიზიკაში, ამ კლასებში ჩასარიცხად მოსწავლეები აბარებენ მისაღებ გამოცდებს. დანარჩენი გამოცდის ტიპები წარმოდგენილია ესგ-ს შესაბამისად - სემესტრული, საშემოდგომო და ექსტერნატის გამოცდები. სასკოლო-სასწავლო გეგმა განსაზღვრავს გაცდენების აღრიცხვისა და შემაჯამებელი დავალებების აღდგენის წესს. შემაჯამებელ დავალებას მოსწავლე აღადგენს 10 სასწავლო დღის განმავლობაში. მაგრამ თუ მოსწავლე ხანგრძლივად ვერ ესწრება სასწავლო პროცესს, სკოლა მას შესთავაზებს (სურვილის შემთხვევაში), წინასწარ შედგენილ და გამოქვეყნებული გრაფიკის შესაბამისად შემაჯამებელი დავალებების აღდგენას. აღდგენა მოხდება ყოველი თვის შუა რიცხვებში და ბოლოს. აღდგენას უზრუნველყოფს დირექტორის მოადგილეები, მას შემდეგ, რაც მოსწავლე, შემაჯამებლის აღდგენის სურვილით, მიმართავს საგნის მასწავლებელს, რომელიც აღნიშნულის შესახებ აცნობებს დირექტორის მოადგილეს. აღსანიშნავია ასევე სკოლის მიერ შემუშავებული საშემოდგომო გამოცდის აღდგენის წესი, რომლის მიხედვითაც, მოსწავლეს, რომელმაც ვერ გადალახა კონკრეტული საგნისთვის დადგენილი ბარიერი აბარებს საშემოდგომო გამოცდას, რომელში მიღებული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	შეფასება იქნება საგნის წლიური ნიშანი. სკოლაში გათვალისწინებულია ასევე სადიაგნოსტიკო წერები, რომლებსაც მოსწავლეები წერენ დირექტორის თანდასწრებით, დირექტორის კაბინეტში. მოსწავლეები განსაკუთრებით აღნიშნავდნენ ამ წერების ემოციურ მხარეს, რომ პასუხისმგებლობით ემზადებოდნენ ამ წერებისთვის. სასკოლო სასწავლო გეგმას დანართის სახით (დანართი N10) ახლავს საგნების მიხედვით შეფასების რუბრიკები სამივე კომპონენტის (საშინაო დავალება, საკლასო დავალება, შემაჯამებელი დავალება) და ასევე განმავითარებელი კომენტარის მიმართულებით. მოსწავლეების შეფასება ხდება სხვადასხვა აქტივობების საფუძველზე - ესსე, პროექტის მომზადება, ზეპირი გამოსვლა, ექსპერიმენტის ჩატარება, ცდის ჩატარება, წარმოდგენა, წერითი, ფერწერული ან სხვა ტიპის ნამუშევარი, არგუმენტირებული მსჯელობა და ა.შ. მოწოდებული დოკუმენტაციის და სკოლის მასწავლებლებთან ინტერვიურების საფუძველზე ირკვევა, რომ სკოლა პრიორიტეტს ანიჭებს შემაჯამებელი დავალების კომპონენტში კომპლექსური, კონტექსტის მქონე დავალებების გამოყენებას. განსაკუთრებული როლი ენიჭება განმავითარებელ შეფასებას. სკოლა იყენებს ელექტრონულ ჟურნალს, კეროდ, SchoolBook-ს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სასკოლო-სასწავლო გეგმა; • შეფასების სქემები და რუბრიკები; • ინტერვიუ სკოლის მასწავლებლებთან.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.5 შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობით	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილია **სადამრიგებლო პროგრამა,** რომელიც ხელს უწყობს სკოლაში აღმზრდელობითი პროცესის ერთიანი სისტემის შექმნას, საერთო სასკოლო კულტურის ჩამოყალიბებას, სასკოლო ცხოვრებაში მშობელთა ჩართულობის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	გაზრდას, შეზღუდული შესაძლებლობებისა და უნარების მქონე მოსწავლეების ინტეგრაცია სასწავლო პროცესში. ყველა კლასს ჰყავს დამრიგებელი: განთავისუფლებული დამრიგებელი და დამრიგებელი, რომელიც ასწავლის ამავე კლასს. პედაგოგს შეიძლება ჰყავდეს 1 ან/და 2 სადამრიგებლო კლასი. სადამრიგებლო პროგრამაში მოცემულია დამრიგებლის მოვალეობები, დამრიგებლის მუშაობის პრინციპები, სადამრიგებლო საათისა და თემების შესახებ და სხვა. სადამრიგებლო პროგრამა ითვალისწინებს დამრიგებლის მიერ მოსწავლის მხარდაჭერას ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების მიღწევის პროცესში. მასში გაწერილია დამრიგებლის მუშაობის პრინციპები და მოვალეობები. დამრიგებლის სამუშაო გეგმა საფეხურების მიხედვით არის წარმოდგენილი და ითვალისწინებს მრავალფეროვან აქტივობებს, მათ შორის ინდივიდუალურ და ჯგუფურ კომუნიკაციას მშობლებთან. სკოლის მიერ შერჩეული ელექტრონული ჟურნალის (Schoolbook – ის) ფუნქციონალი ზრდის მშობელთა ინფორმირებულობის ხარისხს მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების შესახებ, გარდა ამისა მშობლებთან ურთიერთობა ხდება სოციალური ქსელის დახურული ჯგუფის საშუალებით, ტელეფონით, ელ.ფოსტით. სკოლის დირექტორმა განაცხადა, რომ სასწავლო წლის დასაწყისში და წლის ბოლოს პირადად ხვდება დაინტერესებულ მშობლებს, მათთვის საინტერესო საკითხის გასაცნობად, გარდა ამისა, ყოველი პირველკლასელის მშობელს, საბუთების მიღებისას აღმასრულებელი დირექტორი ხვდება მომავალი მოსწავლის მშობელს და აცნობს სკოლის წესებსა და პირობებს. პანდემიიდან გამომდინარე, აქტუალურია მშობლებთან კავშირი ელექტრონული საშუალებების გამოყენებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სასკოლო-სასწავლო გეგმა; • სადამრიგებლო პროგრამა; • ინტერვიუ მასწავლებლებთან და მშობლებთან; • სკოლასა და მშობელს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების ნიმუში.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

1.6 შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის მიერ წარმოდგენილ საავტორიზაციო მასალებში არის კეთედრის გამგეების სემესტრული ანგარიშები, ანგარიშები დისტანციური სწავლების შესახებ, ასევე დამრიგებლის ანგარიშები. გარდა ამისა დირექტორმა ინტერვიუირებისას აღნიშნა, რომ სასკოლო სასწავლო გეგმის და ზოგადად სწავლების შესახებ მოსაზრებებსა და შემოთავაზებებს თანამშრომელთა მხრიდან პირადად აგროვებს სასწავლო წლის მიმდინარეობისას, რასაც დაახარისხებს და ზოგს გაითვალისწინებს მომავალი სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვისას, ზოგს არა. ამასთან დირქტორმა განმარტა, რომ ძირითადად წლებია საათობრივი ბადე სწავლების ასეთი სქემით აპრობირებულია და იშვიათად განიცდის ცვლილებას, რადგან მიაჩნია, რომ აღნიშნული სასკოლო გეგმით კარგ წარმატებას აღწევს და სასკოლო საზოგადოების წევრებიც კმაყოფილნი არიან. სკოლას მიეცა რჩევა, რომ მართალია, წარმატებას აღწევს, მაგრამ მაინც განვითარება ყველაფრისთვის კარგია და უმჯობესია, რომ შეიმუშაონ და მიზნობრივად დაგეგმონ, მონიტორინგი სხვადასხვა დონეზე და სხვადასხვა საგანმანათლებლო პროცესზე. გააკეთონ მონიტორინგის შედეგების ანალიზი და შედეგები გამოიყენონ სასწავლო პროცესის გასაუმჯობესებლად.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• კათედრის ხელმძღვანელების ანგარიშები; • დამრიგებლის ანგარიშები; • ინტერვიუ სკოლის დირექტორთან.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

რეკომენდაციები:	
რჩევები:	*სკოლას მიეცა რჩევა, რომ გაითვალისწინოს კურიკულუმის, თემატური*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	მატრიცისა და კომპლექსური დავალებების ლოგიკური კავშირები და რომ მათი ცალკეულად შემუშავება ან განხორციელება არ ასახავს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის მიზნებს. სკოლას მიეცა რჩევა, რომ მართალია, წარმატებას აღწევს, მაგრამ მაინც განვითარება ყველაფრისთვის კარგია და უმჯობესია, რომ შეიმუშაონ და მიზნობრივად დაგეგმონ, მონიტორინგი სხვადასხვა დონეზე და სხვადასხვა საგანმანათლებლო პროცესზე. გააკეთონ მონიტორინგის შედეგების ანალიზი და შედეგები გამოიყენონ სასწავლო პროცესის გასაუმჯობესებლად.
ხარვეზები:	*ივსება ასეთის არსებობის შემთხვევაში*
სტანდარტის შეფასება	მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ **სტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **სტანდარტი დარღვეულია**

2. მატერიალური რესურსი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

2.1 დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის:	
ა) ერთ მისამართზე არსებული საერთო ფართი:	
დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა ლიცეუმი მწიგნობართუხუცესი მდებარეობს ქ. თბილისში ორ მისამართზე: ლეო კვაჭაძის №12 (შემდგომში I კორპუსი), ლეო კვაჭაძის №12ა და ნუცუბიძის II მ/რ, ჟღენტის №2 (შემდგომში II კორპუსი). პირველი კორპუსი ოთხსართულიანია და სულ 65 საკლასო ოთახს მოიცავს. ნულოვან სართულზე განთავსებულია: სასადილო, ცეკვის დარბაზი, ჭადრაკის კაბინეტი და მცირე სპორტული დარბაზი. შენობის პირველ სართულზეა: ჰოლი, კაფეტერია, 6 გასახდელი და საშხაპეები, ექიმის კაბინეტი, საიზოლაციო ოთახი, დაცვის ოთახი, დირექტორის მოადგილის (სამეურნეო დარგში) სამუშაო ოთახი, 14 საკლასო ოთახი, ორი საცურაო აუზი, 1 სპორტული დარბაზი, 2 სველი წერტილი. მე-2 სართულზეა: ჰოლი, 10 საკლასო ოთახი, ისტ-ის და ინგლისური ენის კაბინეტები, დირექტორის კაბინეტი, სააქტო დარბაზი, ბიბლიოთეკა, ინგლისური ენის კაბინეტი, აღმასრულებელი დირექტორის, სასწავლო პროცესის, საქმეთა წარმოების და ისტ მენეჯერების კაბინეტები. ასევე ბუღალტრის ოთახი და საკოორდინატორო, 5 სველი წერტილი. მე-3 სართულზე: ჰოლი, 16 საკლასო ოთახი, ინგლისური ენის, ქიმიის, ისტ-ის, რუსულისა და მათემატიკის კაბინეტები, საკოორდინატორო, ამავე სართულზეა ხარისხის მართვის და ისტ მენეჯერის კაბინეტები, 5 სველი წერტილი. IV სართულზეა - 25 საკლასო ოთახი, ქართული ენისა და ლიტერატურის, გეოგრაფიის, ისტორიის, ფიზიკის, ბიოლოგიის კაბინეტები, საკოორდინატორო, 5 სველი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	წერტილი. შპს თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ლიცეუმ „მწიგნობართუხუცესის“ მეორე კორპუსში არის ორი, A და B კორპუსი. A კორპუსის პირველ სართულზე არის ორი ფლიგელი. მარჯვენა ფლიგელში განთავსებულია ორი პირველი კლასი და მოსამზადებელი ჯგუფი. ეს ფლიგელი იზოლირებულია, მას აქვს ცალკე შესასვლელი, საერთო ჰოლი და 3 სველი წერტილი (პედაგოგებისთვის, ვაჟებისთვის და გოგონებისთვის). შექმნილია უსაფრთხო, კომფორტული გარემო პირველკლასელთათვის და მოსამზადებელი ჯგუფის 9 მოსწავლეებისათვის. სკოლის დირექტორის ბრძანებით გაიმიჯნულია მოსამზადებელი ჯგუფის და სკოლის ფართი (მოსამზადებელი ჯგუფი იკავებს 90 კვ.მ.), მარცხენა ფლიგელში არის ორი მეორე კლასი, ერთი მესამე კლასი, ცეკვის დარბაზი და 3 სველი წერტილი (პედაგოგებისთვის, ვაჟებისთვის და გოგონებისთვის). პირველი სართულის შესასვლელში არის დიდი ჰოლი, მარჯვენა მხარეს განთავსებულია კოვიდის საკარანტინო ოთახი და ექიმის კაბინეტი, მარცხენა მხარეს - ერთი დაცვის და ერთი სამეურნეო ოთახი (კოვიდ მარაგების ოთახი). A კორპუსის მეორე სართულზე განთავსებულია შვიდი საკლასო ოთახი (ორი მესამე, სამი მეოთხე და ერთი მეშვიდე კლასი), ისტ-ის ოთახი, აღმასრულებელი დირექტორის ოთახი და ოთხი სველი წერტილი, ორი პედაგოგებისთვის, ერთი ვაჟებისთვის და ერთი გოგონებისთვის (სველი წერტილების ერთდროულად სარგებლობა შეუძლიათ 8-8 მოსწავლეს), ამავე სართულზე არის პედაგოგების დასასვენებელი ოთახი და ერთი ოთახი განაყოფი ჯგუფების შესაყვანად. A კორპუსის მესამე სართულზე განთავსებულია ცხრა საკლასო ოთახი (ორი - მეხუთე, ორი -მეექვსე, ერთი - მერვე, ერთი - მეცხრე, ერთი -

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	მეათე, ერთი - მეთერთმეტე და ერთი მეთორმეტე კლასი. ერთი ოთახი გამოყოფილია საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიული მეცადინეობების ჩასატარებლად. აქვეა სასწავლო პროცესის და ისტ მენეჯერის ოთახი, აგრეთვე ოთხი სველი წერტილი, ორი პედაგოგებისთვის, ერთი ვაჟებისთვის და ერთი გოგონებისთვის (სველი წერტილების ერთდროულად სარგებლობა შეუძლიათ 8-8 მოსწავლეს). ვიზიტის პერიოდში A კორპუსის მეოთხე სართული იყო დაკეტელი და არ გამოიყენებოდა სასწავლო პროცესისათვის. B კორპუსის პირველ სართულზე არის სასადილო, სპორტდარბაზი, ორი გამოსაცვლელი ოთახი და სამი დამხმარე სათავსო ოთახი, სასადილოსთან მოწყობილია ხელსაბანების ოთახი, ცალკე სამზარეულო თავისი დამხმარე ოთახით. ამავე სართულზე განთავსებულია ბიბლიოთეკა და ორი სველი წერტილი (სველი წერტილების ერთდროულად სარგებლობა შეუძლიათ 3-3 მოსწავლეს). B კორპუსის მეორე სართულზე განთავსებულია სააქტო დარბაზი, საცურაო აუზი, ორი საშხაპე (გოგონები, ვაჟები), ერთი ოთახი ცურვის პედაგოგებისთვის. ცალკე სივრცეა გამოყოფილი სამი ოთახით, სადაც საჭიროების შემთხვევაში განთავსდება მოსამზადებელი ჯგუფის ბავშვები. ამავე სართულზეა სამი სველი წერტილი (პედაგოგები, ვაჟები, გოგონები). A და B კორპუსებს შორის არის დამაკავშირებელი შიდა დერეფანი (ხიდი).
ფაქტობრივი მისამართი	1. ქალაქი თბილისი, ლეო კვაჭაძის ქუცა N12, ნაკვეთის დანიშნულება - არასასოფლო სამეუნეო (N72.16.17.960), 1ა. ქალაქი თბილისი, ლეო კვაჭაძის ქუცა N12ა, ნაკვეთის დანიშნულება სასოფლო-სამეუნეო (N 72.16.17.935), 2. თბილისი, ნუცუბიძის II მ/რ, ჟღენტის №2, ნაკვეთის დანიშნულება - არასასოფლო სამეუნეო
მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი	1. N72.16.17.960

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	1ა. N 72.16.17.935 2. N 01.14.02.015.003
კვ.მ.	1. დაზუსტებული ფართობი 4862,00 კვ.მ. , შენობა ნაგებობ(ებ)ის საერთო ფართი 7576.10 კვ.მ. 1ა. დაზუსტებული ფართობი 5120,00 კვ.მ. 2. დაზუსტებული ფართობი 10658,00 კვ.მ., შენობა ნაგებობების საერთო ფართი 5964,87 კვ.მ. შენობების საერთო ფართია 13540.97 კვ.მ. ამ ფართის 90 კვ.მ. არის მოსამზადებელი კლასებისათვის განკუთვნილი ფართობი
მტკიცებულებები/ინდიკატორები	• საჯარო რეესტრიდან ამონაწერი; • შენობა- ნაგებობების აზომვით ნახაზი. • სკოლის დირექტორის 02.09.2021 წლის ბრძანება N05/17 „პრესკულის (მოსამზადებელი ჯგუფის) შექმნის და შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზია გამოყოფის შესახებ“
შეფასება	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ბ) საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის I კორპუსში 65 საკლასო ოთახია სადაც განთავსებულია 1006 ინდივიდუალური მერხი და სკამი, სასკოლო დაფები და სხვადასხვა საჭირო სასკოლო ინვენტარი. საგნობრივ კათედრებს გააჩნია სათანადო საგანმანათლებლო რესურსები. შენობაში 12 სადემონსტრაციო ოთახია აღჭურვილი პროექტორით, ეკრანით და კომპიუტერით. II კორპუსში სულ 20 საკლასო ოთახია სადაც 371 მერხია განთავსებული. სულ საკლასო ოთახებში განთავსებულია 1377 ერთადგილიანი კომპლექტი (მერხი და სკამი). ნაწილი მერხების არის დასაწყობებული (258 ერთადგილიანი და 454 - ორადგილიანი მერხე და სკამი). ასევე მერხებითა და სკამებით არის აღჭურვილი განაყოფების ოთახები და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სასწავლო კაბინეტები (144 კომპლექტი) სულ სკლის საკუთრებაშია - 1779 ერთადგილიანი და 454 ორადგილიანი მერხი. (სულ 2233), 113 კომპიუტერი, 41 ტელევიზორი (32 პირველ კორპუსში და 9 - მეორეში).
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება; • სასაქონლო ზედნადებები; • საინვენტარო ბარათები; • მიღება- ჩაბარების აქტები.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

გ) სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის სპორტული ინფრასტრუქტურა კარგადაა განვითარებული. I კორპუსში დიდი და მცირე სპორტული დარბაზებია, საცურაო კომპლექსი დიდი და პატარა აუზებით, ხელოვნურსაფარიანი ღია სპორტული მოედანი, ჭადრაკის ოთახი; II კორპუსში არის სპორტული დარბაზი, ორი ღია სპორტული მოედანი, საცურაო აუზი, ჭადრაკის ოთახი;. სკოლას აქვს მრავალფეროვანი სპორტული ინვენტარი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება; • გადახდის ქვითრები; • სასაქონლო ზედნადებები;
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

დ) სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში არის საბუნებისმეტყველო კაბინეტები, სამი კაბინეტი საგნების მიხედვით პირველ კორპუსში, ერთი საერთო საბუნებისმეტყველო - მეორე კორპუსში, სადაც განთავსებულია ფიზიკა, ქიმია და ბიოლოგია–ანატომიის სასკოლო ლაბორატორიის კომპლექტები. ყველა ლაბორატორია სათანადოდ არის აღჭურვილი.პირველი კორპუსის ქიმიის ლაბორატორიაში და მეორე კორპუსის საერთო საბუნებისმეტყველო კაბინეტებში არის სველი წერტილი, გამწოვი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	კარადა. ლაბორატორიული ინვენტარი, რეაქტივები სათანადოდ არიან დაცული.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება; • სასაქონლო ზედნადებები; • ლაბორატორიის შესყიდვის დოკუმენტაცია.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.2 სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისათვის აუცილებელი გარემო, რაც გულისხმობს: ელექტროენერგიის სტაბილურ, უწყვეტ მიწოდებას. მოწესრიგებულ სველ წერტილებს, სადაც დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. სველი წერტილები ბიჭების, გოგონების, თანამშრომლების და სსსმ მოსწავლისათვისაა ცალ-ცალკე. ყველა საკლასო ოთახს აქვს ბუნებრივი განათება, სკოლის ორივე კორპუსი გაზიფიცირებულია და ორივე კორპუსში არის ცენტრალური გათბობის სისტემა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება; • ბუნებრივი აერისა და ელექტრი ენერგიის გადახდის ქვითრები; • სასაქონლო ზედნადებები.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.3 სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის ორივე შენობაში არის კომპიუტერებით აღჭურვილი ბიბლიოთეკა, სადაც წარმოდგენილია სასკოლო სასწავლო გეგმისა და საგნობრივი პროგრამების შესაბამისი წიგნადი ფონდი, რომელიც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	შინაარსობრივად მრავალფეროვანია და სახელმძღვანელოების გარდა მოიცავს: მხატვრულ და სამეცნიერო ლიტერატურას. ბიბლიოთეკაში არის წიგნადი ფონდის საინვენტარო წიგნი, ანბანური კატალოგი, გამოკრულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, სამუშაო საათები. ბიბლიოთეკართან გაფორმებულია ხელშეკრულება. დებულებით განსაზღვრულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები. ბიბლიოთკაში სამივე საფეხურის ყველა საგნის გრიფირებული სახელმძღვანელოები წარმოდგენილია სრულად. პირველი კორპუსის ბიბლიოთეკაში არის 4656 სახელმძღვანელო (ქართული - 3443, რუსული - 535, ინგლისური - 678), 1350 დამხმარე მასალა, 2407 მხატრული და სამეცნიერო ლიტერატურა, ინგლისურ ენაზე მხატვრული ლიტერატურა - 82, რუსულ ენაზე - 1760, 44 - ლექსიკონი, აუდიო/ვიდეო მასალა - 74. პირველი კორპუსის ბიბლიოთეკაში 4 კომპიუტერია, არის კომპიუტერითა და დისპლეით აღჭურვილი სივრცე პრეზენტაციებისათვის და სამუშაო შეხვედრებისთვის. მეორე კორპუსის ბიბლიოთეკაში სამივე საფეხურის ყველა საგნის გრიფირებული სახელმძღვანელოები წარმოდგენილია სრულად. ასევე არის მხატვრული და სამეცნიერო ლიტერატურა ქართულ, ინგილურ და რუსულ ენებზე. ბიბლიოთეკაში ორი კომპიუტერია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება; • შრომითი ხელშეკრულებები ბიბლიოთეკარებთან; • ბიბლიოთეკის დებულება; • წიგნების შესყიდვების დოკუმენტაცია; • მიღება–ჩაბარების აქტები; • საინვენტარო წიგნები.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.4 სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის პირველი კორპუსი სრულად არის ადაპტირებული სსსმ მოსწავლისთვის. არის ლიფტი, სველი წერტილები. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის არის წვდომა სასადილოზე, ბიბლიოთეკაზე და სასწავლო ლაბორატორიებზე. მეორე კორპუსში არ არის სათანადო პირობები სსსმ მოსწავლისთვის, დირექტორის განმარტებით, ასეთი მოსწავლის არსებობის შემთხვევაში ის (სსსმ მოსწავლე) საგანმანათლებლო მომსახურებას სკოლის პირველ კორპუსში მიიღებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება; • ხელშეკრულება ლიფტის მონტაჟზე (10.03.2016);
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.5 სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სასკოლო საწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის დაწესებულება იყენებს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს. სკოლის პირველ კორპუსში ფუნქციონირებს 2 კომპიუტერული კლასი, მეორე კორპუსში - 1. თითოეულ კლასში არის ინტერნეტ ქსელში ჩართული 12 პერსონალური კომპიუტერი, ბიბლიოთეკებში განთავსებულია 6 კომპიუტერი. სკოლა სულ ფლობს 113 კომპიუტერს (I კორპუსი -93, II-20). სკოლის ვებ-გვერდია: https://muschool.edu.ge/ რომელიც ასრულებს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ფუნქციას. ვებ–გვერდზე განთავსებულია ინფორმაცია სკოლის შესახებ, სიახლეები, დოკუმენტაცია, ფოტო გალერეა, სკოლას აქვს ელ-ფოსტა g.chkondideli@yahoo.com, დაწესებულება იყენებს ელექტრონულ ჟურნალს ,,SCHOOLBOOK". სკოლას აქვს აქტიური ფეისბუქ გვერდი. სკოლაში არის Wi Fi.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სკოლის ვებ-გვერდი: muschool.edu.ge; • ხელშეკრულებება ინტერნეტ პროვაიდერთან; • ვიზუალური დათვალიერება; • მშობლებთან გასაუბრება; • მოსწავლეებთან გასაუბრება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.6 სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:	
ა)ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის პირველ კორპუსში დამონტაჟებულია ხანძრის (კვამლის) აღმოჩენის დეტექტორები. შემუშავდა საევაკუციო გეგმები და შენობების ყველა სართულზე თვალსაჩინო ადგილზე გამოიკრა, შენობების სახურავები დამუშავდა სპეციალური ცეცხლდამცავი ხსნარით, ყველა სართულზე განთავსდა ცეცხლმაქრები. გამოკრულია მათი სარგებლობის წესები. 07.09.2020 წელს სკოლის დირექტორის გამოცემული აქვს ბრძანება N05/51 „უსაფრთხოებისა და დისციპლინის დაცვის სამსახურის შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება; • სკოლის დირექტორის 07.09.2020 წლის ბრძანება N05/51 „უსაფრთხოებისა და დისციპლინის დაცვის სამსახურის შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“; • შესყივის დოკუმენტაცია.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია
ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი	ორივე კორპუსის ყველა სართულზე არის საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს მიერ დამზადებული საევაკუაციო გეგმები და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

მიმოხილვა და ანალიზი	ყველა სართულზე არის საევაკუაციო გეგმებში მითითებულ ადგილას განთავსებული ცეცხლმაქრი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება; • ხელშეკრულება საევაკუაციო გეგმის დასამზადებლად; • შესყიდვის დოკუმენტაცია.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია
გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის ორივე კორპუსში ფუნქციონირებს სამედიცინო კაბინეტი, რომლებიც აღჭურვილია საჭირო ინვენტარითა და პირველადი დახმარებისათვის აუცილებელი პრეპარატებით. ორივე კორპუსში არის შესაბამისად აღჭურვილი საიზოლაციო კაბინეტი. სკოლას ჰყავს 2 ექიმ-პედიატრი, 1 ექთანი და 1 ფსიქოლოგი. ექიმებთან, ექთანთან, ფსიქოლოგთან გაფორმბულია ხელშეკრულებება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება; • ხელშეკრულებები.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია
დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები გაწერილია სკოლის შინაგანაწესში. ასევე სკოლა ხელმძღვანელობს „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის N06/ნ , 29.01.2019 ბრძანებით. დაცვის 7 თანამშრომელი უზრუნვველყოფს წესრიგის დაცვას შენობების მთელ პერიმეტრზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• შინაგანაწეისი • შრომითი ხელშეკრულებები • საშტატო განრიგი
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ე) კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის პირველ კორპუს აქვს ერთი ძირითადი შესასვლელი, რომელზეც ვიზიტის დღეს იყო დამონტაჟებული ერთი ვიდეოკამერა. სკოლის დირექციამ გაითვალისწინა რეკომენდაცია და იმავე დღეს სკოლის შესასვლელში დამონტაჟდა მეორე კამერა. სულ სკოლის პირველი კორპუსის გარე პერიმეტრს აკონტროლებს 5 კამერა. კამერებით კონტროლდება მთლიანად გარე პერიმეტრი, მათ შორის ყველა შესასვლელი, სპორტული მოედანი, დაწყებითი კლასების სარეკრეაციო სივრცე. ყველა კამერა შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებსა და პარამეტრებს. სკოლის შიდა პერიმეტრს აკონტროლებს 14 ვიდეომეთვალყურეობის კამერა. ამ კამერებით კონტროლდება პირველი კორპუსის ფოიე, დერეფნები და კიბის უჯრედები. მეორე კორპუსის მთავარ შესასვლელთან დამონტაჟებულია ორი გარე კამერა, მაგრამ მხოლოდ ერთ-ერთი კამერაა მუშა მდგომარეობაში. ვერ ხერხდება გარე პერიმეტრის მთლიანად გაკონტროლება. ასევე მთლიანად ვერ კონტროლდება სკოლის შიდა პერიმეტრი. სკოლის დერეფნებში დამონტაჟებული იყო რამოდენიმე კამერა, მაგრამ ისინიც არა მუშა მდგომარეობაში იმყოფებოდნენ. **სკოლა, არგუმენტირებული პასუხის ცენტრში გამოგზავნილ წერილში, იტყობიმებოდა, რომ გაითვალისწინა ექსპერტთა რეკომენდაცია**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	კამერებთან დაკავშირებით და სკოლის მეორე კორპუსში დაამონტაჟა კამერები, დასტურად სკოლამ გამოაგზავნა ხელშეკრულება კამერების დამონტაჟების თაობაზე დადებული შპს „იესეს ჯორჯიასთან“, ანგარიშსწორების საბანკო ამონაწერები (2866,00 ლარი და 1300,00 ლარი) და მიღება-ჩაბარების აქტი ამავე შპს-სთან (იხ. სკოლის მიერ გამოგზავნილი წერილი, სკოლის რეგისტრაციის ნომერი და თარიღი 02/254, 14.04.2022წ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება; • კამერების შეძინის დოკუმენტაცია
შეფასება:	☐ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☒ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.7 სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება და შინაგანაწესი. ამ დოკუმენტებში გაწერილია გადაწყვეტილების მიღებისა და საქმიანობის დაგეგმვის პროცედურები. შინაგანაწესი დამტკიცებულია 2021 წლის 8 სექტემბერს პედაგოგიური საბჭოს მიერ (ოქმი N1), სკოლის წესდება დამტკიცებულია 2012 წლის 10 ოქტომბერს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• შინაგანაწესი; • სკოლის წესდება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.8 შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის მისიიდან გამომდინარე სკოლას შემუშავებული აქვს სკოლის განვითარების გრძელვადიანი (2017 - 2022) და ერთწლიანი (2021 – 2022) სამოქმედო გეგმები, რომლებიც ემსახურება სკოლის პრიორიტეტების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	განხორციელებასა და ეფექტური საგანმანათლებლო გარემოს შექმნას საჭირო რესურსების გამოყენებით. სკოლა, სტრატეგიული გეგმის ანალიზის SWOT მეთოდს იყენებს, სადაც მოცემულია სკოლის ძლიერი და სუსტი მხარეები, შესაძლებლობები, რისკები და ჩასატარებელი ღონისძიებები. ერთწლიანი სამოქმედო გეგმა წარმოადგენს განსახორციელებელ აქტივობათა დეტალიზებულ დოკუმენტს, რომელშიც განსაზღვრულია კონკრეტული აქტივობები, პასუხისმგებელი პირები და შესრულების ვადები. სკოლის განვითარების გრძელვადიანი გეგმა ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს, კერძოდ: • თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ფორმირებას • სასკოლო განათლების ერთიანი საინფორმაციო სივრცის ფორმირებას სკოლას დასახული აქვს ამოცანები: • საგნობრივი კაბინეტების აღჭურვა თანამედროვე სასწავლო რესურსებითა და ციფრული ტექნიკით • კომპიუტერული ბაზის მოდერნიზაცია, ციფრული ტექნიკისა და აუცილებელი პროგრამული მასალის შეძენა ბიბლიოთეკის მოდერნიზაცია და ჩართვა სკოლის ლოკალურ ქსელში
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ერთწლიანი სამოქმედო გეგმით; • ექვსწლიანი სტრატეგიული გეგმით.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.9 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას შემუშავებული აქვს „საქმისწარმოების ერთიანი წესები“. 03.09.2020 წელს სკოლის დირექტორის მიერ გამოცეულია ბრძანება N 05/48 „საქმის წარმოების ერთიანი წესების დამტკიცების შესახებ“, სადაც გაწერილია საქმის წარმოების წესები, კერძოდ: შემოსული კორესპონდენციის რეგისტრაციის წესი, შემოსული კორესპონდენციის აღრიცხვის წესი, გასული კორესპონდენციის რეგისტრაციის წესი,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	გასული კორესპონდენციის აღრიცხვის წესი, კორესპონდენციის გაგზავნისა და კორესპონდენციის აღრიცხვის წესი, ბრძანებების რეგისტრაციის და აღრიცხვის წესი, სკოლის პედაგოგიური საბჭოს დადგენილებების, გადაწყვეტილებებისა და განცხადებების რეგისტრაციისა და აღრიცხვის წესი, ხელშეკრულებებისა და მემორანდუმების აღრიცხვის წესი, პედაგოგიური და დამხმარე პერსონალის შერჩევისა და დანიშვნის ბრძანების რეგისტრაციისა და აღრიცხვის წესი, მოსწავლეთა ჩარიცხვის და ამორიცხვის ბრძანების რეგისტრაციისა და აღრიცხვის წესი, დიპლომების რეგისტრაციისა და აღრიცხვის წესი, დოკუმენტებზე სარეგისტრაციო ინდექსის მინიჭების წესი. სკოლაში, საქმისწარმოების წესის შესაბამისად, მიმდინარეობს გამოცემული აქტების და კორესპონდენციის აღრიცხვა, სკოლაში არის: • ბრძანების წიგნი, • შემოსული და გასული დოკუმენტაციის აღრიცხვის ჟურნალი, • მოსწავლეთა და მასწავლებელთა პირადი საქმეები, • შრომითი ხელშეკრულებების სარეგისტრაციო ჟურნალი, • პედსაბჭოს ოქმები, • მოსწავლეთა ანბანური წიგნი. ყველა დოკუმენტი აკინძულია, ზონარგაყრილია, დანომრილია და დალუქულია, აქვს დირექტორის ბეჭედი და ხელმოწერა. სკოლას აქვს ელექტრონული რეესტრი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ბრძანების წიგნი; • შემოსული და გასული დოკუმენტაციის აღრიცხვის ჟურნალი,; • მოსწავლეთა და მასწავლებელთა პირადი საქმეები; • შრომითი ხელშეკრულებების სარეგისტრაციო ჟურნალი; • 03.09.2020 ბრძანება N 05/48 „საქმის წარმოების ერთიანი წესების დამტკიცების შესახებ“ • პედსაბჭოს ოქმები; • მოსწავლეთა ანბანური წიგნი.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

რეკომენდაციები:	*სკოლამ უნდა უზრუნველყოს სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის ვიდეოკონ-*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ტროლი სრულად.
რჩევები:	*არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.*
ხარვეზები:	*სკოლა ვერ უზრუნველყოფს სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის ვიდეოკონტროლს სრულად.*
სტანდარტის შეფასება	მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ სტანდარტი დაკმაყოფილებულია ☒ სტანდარტი დარღვეულია

3. ადამიანური რესურსი

3.1 სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმის განხორციელებისათვის საჭირო პერსონალი. სკოლის საშტატო განრიგი მოიცავს 264 თანამშრომელს. მათ შორის არის 165 მასწავლებელი. აქედან 30 მოწვეული მასწავლებელია, 119 - უფროსი, ხოლო 15 - წამყვანი მასწავლებელი, 1 - მენტორი მასწავლებელი. მასწავლებლებს სტატუსი მინჭებული აქვთ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული ზრდის სქემის შესაბამისად. სკოლის ხელმძღვანელობას ახორციელებს დირექციის 19 წარმომადგენელი. სასწავლო პროცესის სრულფასოვან განხორციელებას ხელს უწყობს 35 დამხმარე პერსონალი. მოსწავლეების უსაფრთხოებაზე, კვებაზე და გარემოს სისუფთავეზე ზრუნავს ტექნიკური პერსონალი 28 თანამშრომლის შემადგენლობით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სკოლის საშტატო განრიგით; • სასკოლო სასწავლო გეგმა.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ინფორმაცია მასწავლებელთა შესახებ	
პედაგოგთა საერთო რაოდენობა	165
მოწვეული/მაძიებელი	30/0
პრაქტიკოსი მასწავლებლი	0
უფროსი მასწავლებლი	119
წამყვანი მასწავლებლი	15
მენტორის სტატუსი	1

3.2 სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის ყველა მასწავლებელს აქვს იმ საგნის შესაბამისი კვალიფიკაცია, რომელსაც ასწავლის. სკოლაში მუშაობს 165 პედაგოგი, რომლებსაც მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის მიერ მინიჭებული აქვთ შესაბამისი სტატუსი. მასწავლებელთა პირადი საქმეები მოიცავს განათლების დამადასტურებელ დოკუმენტაციას, CV და სტატუსის მინიჭების სერტიფიკატს. მასწავლებელთა პირად საქმეებში არ ქონდათ ცნობა სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენის შესახებ. ვიზიტის პერიოდში სკოლამ გააგზავნა მოთხოვნა შესაბამისი ინფორმაციის მოსაძიებლად. ასევე ვიზიტის პერიოდში დირექტორის ბრძანებით მოწესრიგდა მოწვეული მასწავლებლების საათობრივი დატვირთვა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• მასწავლებელთა პირადი საქმეებით. • სკოლის დირექტორის ბრძანება 05/30 31.03.2022
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.3 სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი	სკოლის შინაგანაწესში დეტალურადაა გაწერილი თანამშრომელთა მიღების, გათავისუფლების წესები, სანქცირებისა და წახალისების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

მიმოხილვა და ანალიზი	სისტემა. შინაგანაწესი განთავსებულია სკოლის ვებგვერდზე. აღნიშნული წესები ასევე ასახულია თანამშრომლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში, რაც უზრუნველყოფს აღნიშნული წესების გამჭვირვალობას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სკოლის შინაგანაწესი; • პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებები .
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.4 მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ლიცეუმი მწიგნობართუხუცესის ყველა თანამშრომელთან გაფორმებულია ხელშეკრულება, რომელიც შედგენილია საქართველოს შრომის კოდექსის მოთხოვნის შესაბამისად. ხელშეკრულება მოიცავს შემდეგ ინფორმაციას: ხელშეკრულების ნომერი, ზოგადი დებულებები, ხელშეკრულების საგანი, მხარეთა უფლებები და მოვალეობები, შრომის ანაზღაურების პირობები, მხარეთა პასუხისმგებლობები, სამუშაო ადგილი, სამუშაო დრო და დასვენების დრო, შვებულების მიცემის წესი, ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების წესი, ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შეწყვეტის პირობები, მხარეთა პასუხისმგებლობები, პერსონალური მონაცემების დამუშავება-გავრცელების წესი, სხვა პირობები და მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• გაფორმებული ხელშეკრულებები.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

3.5 სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლა-ლიცეუმი მწიგნობართუხუცესის სასკოლო სასწავლო გეგმაში მოცემულია მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სისტემა. რომლის მიხედვითაც, ჩანს, რომ სკოლას გააზრებული აქვს მოსწავლეთა შედეგებზე მასწავლებელთა პროფესიული განვითარების დონის პირდაპირი კავშირი. პროფესიული განვითარების პროცესი, წარმოადგენს საჭიროებათა კვლევას, პროფესიული განვითარების კონკრეტული ღონისძიებების დაგეგმვა-განხორციელება და მიღებული შედეგის შეფასება. მასწავლებლის საჭიროებების კვლევის ეტაპზე სხვა ღონისძიებებთან ერთად განსაზღვრულია კოლეგების მიერ გაკვეთილზე ურთიერთდასწრების აქტივობა და განმავითარებელი კომენტარის მიცემა. გარდა ამისა გაკვეთილზე დასწრება და განმავითარებელი შეფასება ასევე განსაზღვრულია „მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის შესახებ“ 2019 წლის 23 მაისის საქართველოს მთავრობის N241 დადგენილების საფუძველზე, რომლის თანახმად მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და მხარდაჭერის ჯგუფი ესწრება უფროსი მასწავლებლის არანაკლებ სამ გაკვეთილს, წამყვანის არანაკლებ 2, და მენტორის არანაკლებ ერთ გაკვეთილს და აძლევს განმავითარებელ კომენტარს, თუმცა პანდემიის გამო გაკვეთილზე დასწრებები არ განხორციელებულა. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ მასწავლებლები საკუთარი ინიციატივით რეგისტირდებიან და გადიან მსაწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი მიერ დაგეგმილ ტრენინგებზე, რაც გარკვეული დოზით აკომპენსირებს, სკოლის ბაზაზე პროფესიული განვითარების მიმართულებით წარმოქმნილ, ზემოთ აღწერილ დეფიციტს. სკოლის სხვა თანამშრომლების პროფესიულ განვითარებას რაც შეეხება, სკოლა შიდა რესურსით ახერხებს თანამშრომელთათვის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ინსტრუქტაჟების მიცემას, სიტუაციისა და გარემოებების მიხედვით, მაგალითად კოვიდრეგულაციების ამოქმედებისას ადმინისტრაციამ კოვიდრეგულაციების რეგულაციები გააცნო სკოლის დამლაგებლებს, აუზის თანამშრომლებს, წრის ხელმძღვანელებს და სხვა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• შპს „სკოლა-ლიცეუმი მწიგნობართუხუცესის“ ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება; • ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების მექანიზმები; • მასწავლებელთა პროფესიული განვითარების პროგრამის კოორდინატორის ანგარიში; • გაკვეთილზე დასწრებისა და განმავითარებელი შეფასების მასწავლებლებისთვის მიცემის დოკუმენტები; • ხარისხის მართვის მენეჯერის ანგარიში.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.6 სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	მშობლებთან პედაგოგებთან და ადმინისტრაციასთან გასაუბრების, საგანმანათლებლო დაწესებულების თვითშეფასების, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და ავტორიზაციის ვიზიტისას მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, დგინდება, რომ სკოლა-ლიცეუმი მწიგნობართუხუცესში არის დაცულობის, კეთილგანწყობისა და თანამშრომლობის ატმოსფერო. სკოლა ზრუნავს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფეროს შესაქმნელად. მოსწავლეებთან გასაუბრებით ასევე გაირკვა, სკოლისადმი მათი კმაყოფილების მაღალი დონე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	განსაკუთრებული კმაყოფილება გამოხატეს, მშობლებმა სკოლის დაცულ და სანდომიან გარემოზე, მათთვის ძალიან კომფორტული გარემოება იყო ის, რომ სკოლაში დილიდან საღამომდე მათი შვილი სასარგებლო საქმიანობით იყო დაკავებული, მაშინ, როცა მათ ამ პერიოდში განსაკუთრებით არ ეცალათ. მიუხედავად იმისა, რომ სკოლაში ბევრი თანამშრომელია, სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრი მნიშვნელოვანი რგოლია საგანმანათლებლო პროცესის და მთლიანად სკოლაში განხორციელებული საქმიანობის. კადრი კი, რომელმაც იცის საკუთარი მოვალეობები და შესაძლებლობა აქვს რეალიზება გაუკეთოს თავის შესაძლებლობებს, საფუძველია, რომ სკოლაში იყოს დაცულობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• პედაგოგებთან და ადმინისტრაციასთან გასაუბრება. • სასკოლო დოკუმენტაცია.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

რეკომენდაციები:	
რჩევები:	
ხარვეზები:	
სტანდარტის შეფასება	მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ სტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

XI. თანდართული დოკუმენტაცია

ქ. თბილისი. 18.04.2022.

(შევსების ადგილი) თარიღი
გვერდების რაოდენობა 46

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.